

**პლასტმასის მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზის
სადეზინფექციო საშუალებების შედარებითი
დახასიათება**

დოდო მალრაძე

ავილირებული ასისტენტი, MD

ნინო აბაიშვილი

ავილირებული ასოცირებული პროფესორი, MD, PhD

სტუდენტები: სოფო იაკობიძე, ლაშა ივანიძე, ანა

ლოსაბერიძე, კარენ გრიგორიანი, ლევან ოსეფაშვილი

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

მიკრობიოლოგიური კვლევის განმახორციელებელი გ.

ნათაძის სახლობის სანიტარიისა და ჰიგიენის სამედიცინო

ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის

მიკრობიოლოგი ნინო ხეცურიანი

საკვანძო სიტყვები: პასტმასის პროთეზები, სადეზინფექციო საშუალებები.

პირის ღრუში მიკროფლორა საკმაოდ მრავალფეროვანია, როგორც წესი, გრამ-დადებითი მიკროორგანიზმებით არის დასახლებული, მაგრამ განსაკუთრებულ პირობებში, როგორცაა ნერწყვის გამოყოფის შემცირება, ღრძილების დაავადება და პირის ღრუს არასაკმარისი ჰიგიენა, აღნიშნული ბალანსი ირღვევა გრამ-უარყოფითი მიკროორგანიზმების სასარგებლოდ.

პირის ღრუს ჰიგიენა გავლენას ახდენს პირის ღრუს ჯანმრთელობასა და ცხოვრების ხარისხზე.

სხვადასხვა კვლევების თანახმად, ორთოპედიული მკურნალობა დიდ გავლენას ახდენს ორგანიზმის ზოგად ჯანმრთელობაზე. ღეჭვითი შესაძლებლობები გავლენას ახდენს პირის ღრუს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ცხოვრების ხარისხზე იმ პირებში, რომლებსაც აქვთ მოსახსნელი პროთეზი.

თემის აქტუალობა: მოსახსნელი პროტეზის პლასტმასის ბაზის ახასიათებს მიკრობთა ადგეზიობა. პირის ღრუს მიკროფლორა მრავალფეროვანია, ხდება ბაზისზე მათი ადგეზიობა და გამრავლება, ამიტომ აუცილებელია ბაზისის დამუშავება სადეზინფექციო საშუალებებით და პირის ღრუს ჰიგიენის დაცვა.

კვლევის მიზანს წარმოადგენს დღევანდელ დღეს არსებული თანამედროვე სადეზინფექციო საშუალებებიდან შედარებით ოპტიმალურის შერჩევა აღნიშნული პრობლემის გადაჭრისათვის. ამ თვალსაზრისით შევარჩიეთ 3 სახეობა: „ფიტი დენტი“, „პროტეფიქსი“, „ფორამენ დენტი“.

საბაზოდ შეირჩა თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტთან არსებული სასწავლო სტომატოლოგიური კლინიკა და გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტი.

დაგეგმილი ამოცანების გადასაჭრელად მივმართავთ სხვადასხვა საშუალებებს: პროტეზის დამზადება, მორგება და შეგუება, ბაზისიდან ნაცხის აღება, დათესვა სპეციალურ ნიადაგზე, (სისხლიანი აგარი, კანდისელები, მანიტოლიანი აგარი) მოთავსება თემოსტატში და დაკვირვება. მიღებული

შედეგის გაანალიზება, თითოეული სადენინფექციო საშუალებების გამოყენების შემდეგ განმეორებით ბაზისიდან ნაცხის აღება, დათესვა, დაკვირვება და დასკვნის გამოტანა.

კვლევა ტარდება ჰემოლიზურ სტრუქტოკოკებზე, სტაფილოკოკებზე, გრამუარყოფითზე და საფუარ სოკოებზე.

კვლევის სტრატეგიას წარმოადგენს სხვადასხვა სადენინფექციო საშუალებებით ავიცილოთ პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები (პროთეზული სტომატიტი) კვლევა გრძელდება და საბოლოო დასკვნა დაიდება კვლევის დასრულების შემდეგ.

თეზისი მომზადდა თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის შიდა საგრანტო პროექტის „პლასტმასის მოსახსნელი პროთეზის ბაზისის სადენინფექციო საშუალებების კრიტიკული პარამეტრების შედარებითი დახასიათება“, ხელმძღვანელი: დოდო მაღრაძე.

ჯანდაცვის პოლიტიკა და ადამიანის უფლებები – კოვიდ 19-ის ეთიკურ-სამართლებრივი ასპექტები

ეკატერინე სანიკიძე

თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის პრედიკლომური საფეხურის მიწვეული პედაგოგი, მმდ, დტსუ პროფესორი სამედიცინო ეთიკისა და სამართლის დარგში

საკვანძო სიტყვები: ადამიანის უფლებები ჯანდაცვაში, ეთიკურ-სამართლებრივი ბაზა, პანდემიის ეთიკა და სამართალი, კონცეპტუალური ჩარჩო, კოვიდ19.

შესავალი